პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 231 (5261)

1974 წ. 21 ნოემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР

## საქართველოს ჩემპიონები ტყვიის სროლაში (ოლიმპიური ვარჯიშები)



ვ. სალუქვაძე



ა. შამეკო



მ. ჟამურაშვილი



გ. აბაჯიანი



ს. ქუსიკაშვილი



ლ. ოსტრიკოვი

ი. ტერტერიანის ფოტოები.

## გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ, რომელმაც გაშალა სოციალისტური შეჯიბრება საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოებსა და სპორტულ კლუბებს შორის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავის ზეიმისთვის ვადამდე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი. სახელდობრ: სპორტსაზოგადოების წევრთა რიცხვი გეგმით უნდა ყოფილიყო 155275, სინამდვილეში კი მათი რაოდენობა 162100 კაცია. ფიზკულტურელთა რიცხვია 153199-ის მაგიერ — 160456. მომზადებულია 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 29-ის მაგიერ — 35 სპორტის ოსტატი, 54-ის ნაცვლად 63 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 373-ის მაგიერ — 387 პირველთანრიგოსანი. მომზადდა 26674 მეორე და მესამე თანრიგების სპორტსმენი (გეგმა — 26534), მშდ კომპლექსის 17300 ნიშნოსანი (16000), 8923 საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი (6605). საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია 136545 კაცი (136400).

ფიზკულტურულ ორგანიზაციებში დავალების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის მუშაობა გრძელდება.

ა. გიორგობიანი,
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე;
ტ. კიკნაველიძე,
საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

## სარხოიანის წარმატება

ბუდაპეშტი, 18 ნოემბერი. მაგიდის ჩოგბურთი უნგრეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ღონისძიებები, რომლებიც აქ ჩატარდა სპორტის ამ სახეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით. (მაგიდის ჩოგბურთს უნგრეთში უფრო დიდი ხანია მისდევენ, მაგრამ ამ სახეობის ფედერაცია აქ 50 წლის წინათ შეიქმნა). ცხადია, ამ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი მთავარი იყო საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის, იუგოსლავიის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

წარმატებით იასპარეზა ბათუმელმა ს. სარხოიანმა. თანაგუნდელ ანტონიანთან ერთად მან გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა მასპინძელთა შერეული წყვილი — მაგოში და იონერი — 3:0 (21:8, 21:19, 21:12), ხოლო ვაჟთა წყვილების ტურნირში II ადგილი დაიკავა: გომოზკოვისა და სარხოიანის წყვილმა ფინალური მატჩი წააგო იუგოსლაველებთან შურბეკთან და სტეპანჩიჩთან — 1:3 (21:19, 18:21, 7:21, 19:21).

## „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა

## მხოლოდ ერთი კარგი შედეგი

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე დასასრულს უახლოვდება პროფკავშირთა იმ დარგობრივი კომიტეტების ფიზკულტურელთა სპარტაკიადა, რომლებსაც „განთიადის" ცენტრალური საბჭო უწევს მომსახურებას.

მძლეოსანთა შეჯიბრება ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. სტარტზე 6 კოლექტივის 96 წარმომადგენელი გამოვიდა. სამწუხაროდ, ბევრ სახეობაში შეჯიბრება საერთოდ არ გამართულა, ხოლო იმ სახეობებში, რომლებშიც ასპარეზობები ჩატარდა, ტექნიკური შედეგები მეორე თანრიგის ნორმატივს არ ასცილდება. მონაწილეთაგან გამონაკლისი იყო მხოლოდ დალი საბაური (საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირი), რომელმაც შუბის ტყორცნაში I თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა — 50,07 მ. მანვე მოიგო ბირთვის კვრაში შეჯიბრებაც — 12,58 მ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მძლეოსნებმა. II ადგილზეა ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის ნაკრები, III — სპორტკლუბ „განთიადის" კოლექტივი.

დ. კიკნაველიძე.

## [illegible]-74

● დნეპროპეტროვსკი, 18 ნოემბერი. გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში. ეს საპატიო პრიზი მოიპოვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა, რომლებმაც 1080 ქულა დააგროვეს. გამარჯვებულს მთელი 570 ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასული უკრაინის გუნდი. III ადგილზეა ბელორუსიის კოლექტივი. ერთეულთა ხტომაში გაიმარჯვეს ტ. ჩუმინამ (ბელორუსია) და ე. იანესმა (რსფსრ). სინქრონულ ხტომაში ბადალი არ ჰყავდათ ლ. ლარინა — ნ. კოლესნიკოვას (უკრაინა) და ე. იანეს — ე. იაკოვენკოს (რსფსრ).

## ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

## ● ● გამარჯვებით დაიწყეს

— როგორ მოხდა, რომ მწვრთნელებმაც ითამაშეთ? — ვკითხეთ საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდის უფროს მწვრთნელს, ოსტატ ა. ბუსლაევს, როცა შევიტყვეთ, რომ ბელორუსიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის I ტურში მან და მეორე მწვრთნელმა ოსტატმა დ. ჯანოევმაც მიიღეს მონაწილეობა.

— საქმე ის გახლავთ, რომ გუნდის ძირითადი წევრები დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე და ოსტატი ელიზბარ უბილავა დროულად ვერ დაბრუნდნენ ბორჯომიდან, სადაც ნანა ალექსანდრია პრეტენდენტთა ფინალური მატჩისთვის ემზადება. ამიტომ მათს მაგიერ მე და დავითმა ვითამაშეთ. მგონი, ცუდად არ გამოვსულვართ, — გვიპასუხა ბუსლაევმა.

ბუსლაევი და ჯანოევი შეხვდნენ ბელორუსიის ცნობილ ოსტატებს ა. კაპენგუტსა და მ. შერეშევსკის, რომლებიც I და III დაფებზე თამაშობენ. ორივე მწვრთნელმა დაძაბული შეხვედრები ყაიმით დაამთავრა.

საერთოდ, იმ დღეს საქართველოს მოჭადრაკეებმა დიდი ოსტატობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6,5:2,5.

ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ა. ბოკუჩავამ, ზ. მიქაძემ, გ. ზაიჩიკმა, თ. ხუგაშვილმა და ც. კობაიძემ, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს ა. როიზმანი, ნ. ცარენკოვი, ლ. ბასინი, კ. ზვორიკინა და ტ. კოსტინა. ყაიმით დასრულდა ს. ბიგუნ (ბელორუსია) — ა. იზვოზჩიკოვის შეხვედრა. თ. გიორგაძემ წააგო ე. მოჩალოვთან.

თ. ნინოშვილი.

### პრესის მიმოხილვა

## გაზეთის მხარდაჭერით

ზესტაფონის რაიონული გაზეთი „ლენინელი" (რედაქტორი მ. ვარდოსანიძე) დიდ ყურადღებას აქცევს ფიზკულტურასა და სპორტს. გაზეთის ფურცლებზე ხშირად წაიკითხავთ მასალებს რაიონის სპორტული მიღწევების, ფიზკულტურელთა დაოსტატების სხვადასხვა საკითხის შესახებ. „ლენინელი" დიდ ადგილს უთმობს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას.

ზესტაფონელებს ბევრჯერ უსახელებიათ ქართული სპორტი. ვის არ სმენია, მაგალითად, წარსულში ცნობილი მოფარიკავეების ლ. შეყრილაძის, ნ. მაჭავარიანისა და მათი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ს. საყვარელიძის წარმატებათა ამბავი. მშობლიურ ქალაქს სახელი გაუთქვეს მოჭიდავეებმა მ. სალაძემ, თ. ლექავამ, საჭადრაკო კომპოზიტორმა ჯ. მახათაძემ და სხვ. ამ სპორტსმენთა წარმატებები სათანადოდ აისახა „ლენინელის" ფურცლებზე.

გაზეთი ბევრს წერს რაიონის საწარმო-დაწესებულებების სპორტული საქმიანობის, შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების შესახებ. სოფლად ფიზიკური კულტურის განვითარებასაც დიდი ადგილი ეთმობა.

გაზეთი პირუთვნელად ამხილებს ნაკლოვანებებსაც. „მეტალურგის" ფეხბურთელთა გუნდის წარუმატებლობის შესახებ დაბეჭდილი წერილების სათაურები „ლიდერი კარგავს ქულას", „მეტალურგი" კარგავს სიყვარულს", „წაგება, წაგება. სანამდე?" მიგვანიშნებს, რომ რედაქციას სურს გუნდს ხელი შეუწყოს მდგომარეობის გამოსწორებაში.

„ლენინელი" ოპერატიულად აშუქებს სპორტსაზოგადოებათა რაიონული კონფერენციების მუშაობას, მხარს უჭერს სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს.

ჟურნალისტები არ სჯერდებიან მხოლოდ რაიონის სპორტული ცხოვრების ასახვას. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება წერილები დიდი მნიშვნელობის შეჯიბრებათა, საერთაშორისო სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა შესახებ.

გ. ბრეგვაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.

## ფიზკულტურა ყოველ ოჯახში

ლვოვის ყოველი ათი მოსწავლიდან რვა საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებთან და სახლმმართველობებთან არსებულ სპორტულ მოედნებზე და სექციებში მეცადინეობს. ასობით პენსიონერმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები საცხოვრებელ ადგილებში და ქალაქის პარკებში შექმნილ მოსამზადებელ ჯგუფებში. ლვოვი რესპუბლიკაში პირველ ადგილზეა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯანმრთელობისა და მხნეობის კომპლექსის დანერგვის მხრივ.

სპორტული მოედნებისა და სექციების უმეტესობა შექმნილია შეფების — სპორტული ორგანიზაციებისა და დიდ საწარმოთა მუშაკების დახმარებით. შეფები, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა სპორტული ბაზები საქალაქო აღმასკომის სპეციალური გადაწყვეტილებით გაანაწილეს.

ქარხნის კომკავშირელები და სპორტსმენები ფიზკულტურელებს დახმარებას უწევენ არა მარტო მოედნების მშენებლობაში, არამედ შეჯიბრებათა ჩატარებაში, სექციურ მეცადინეობაში.

ასეთი ენთუზიაზმის წყალობით საცხოვრებელ ადგილებში ბავშვთა სპორტული კლუბები შეიქმნა. ამ კლუბების წევრები უკვე წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. მაგალითად, ნორჩ სპორტსმენთა შორის „შრომითი რეზერვების" ჩემპიონი გახდა № 8 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორასთან არსებული მოკრივეთა კლუბის „პრომეთეს" წევრი ს. კუნიცკი. მისმა თანაკლუბელებმა მ. კარჩევსკიმ და ნ. შვარცერმა I ადგილები დაიკავეს ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში. კარგი შედეგები მოიპოვეს სპორტკლუბების „ატლანტის", „მუშკეტერის", „დელფინის", „ოლიმპიური ისრის" წევრებმა.

ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩინებული ორგანიზაციის ბევრ მაგალითს ნახავთ ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. და მაინც, რეზერვი ჯერ კიდევ ბევრია: პირველი კლასიდან ტარდება სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები, მაგრამ რატომ არ შეიძლება რეგულარულად ეწყობოდეს შეჯიბრებები სკოლის, რაიონის, ქალაქის საუკეთესო კლასის სახელისთვის? იქმნება ახალი სპორტული ბაზები, მაგრამ იქნებ უფრო რაციონალურად, უფრო მეტი დატვირთვით უნდა იყოს გამოყენებული უკვე არსებული მოედნები და დარბაზები? რატომ არ უნდა ჩაუდგნენ სათავეში საზოგადოებრივ საწყისებზე სახელგანთქმული ვეტერანები, ჩემპიონები და რეკორდსმენები საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებთან შექმნილ ბავშვთა კლუბებს? მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობაში ჯერჯერობით სათანადო ადგილი არც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლას უკავია.

საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ზემოჩამოთვლილ და სხვა არსებითს პრობლემებს მიეძღვნა საკავშირო თათბირი, რომელიც ლვოვში ჩატარდა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს კონკრეტული რეკომენდაციები მასობრივ შეჯიბრებათა ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისთვის. დიდი ყურადღება დაეთმო მშდ კომპლექსის პრობლემებს, ბავშვთა სპორტული კლუბების ერთიანი წესდების დამუშავებას და მოსახლეობას შორის ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარების სხვა საკითხებს. (საკდესი).

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

# თუ გული გულობს...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე მძლეოსანთა შეჯიბრება ასე კარგად დიდი ხანია არ ჩატარებულა. ამაში დამსახურება მიუძღვით არა მარტო საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობის ორგანიზატორებსა და ასპარეზობის მსაჯთა კოლეგიას (მთავარი მსაჯი თ. ელიაშვილი), არამედ სტადიონის დირექციასაც, რომელმაც თავი არ დაზოგა, რომ ნორჩებს ხელი არაფერში შეშლოდათ. მართალია, ნაკლოვანებები ამ ტურნირშიც შეიმჩნეოდა, მაგრამ ამჯერად მათზე ლაპარაკი აღარ ღირს, ვინაიდან საერთო სურათი დამაკმაყოფილებელი იყო. ერთი სიტყვით, თუ გული გულობს... მძლეოსნობაშიც შეიძლება შეჯიბრება ისე ორგანიზებულად ჩატარდეს, რომ მსაჯებიც კმაყოფილი იყვნენ, მონაწილენიცა და მაყურებლებიც.

შეჯიბრების მიზანი იყო ძალების პირველი შემოწმება მოსწავლეთა მორიგი საკავშირო სპარტაკიადისთვის. ხარბიელზე 1958-1959 წლებში დაბადებული (IX და უფრო დაბალი კლასების მოსწავლეები) ჭაბუკები და 1959-1960 წლებში დაბადებული გოგონები გამოვიდნენ. ამგვარი შეჯიბრება აქვე, ზუსტად ორი წლის წინათ, 1972 წლის ნოემბერში გაიმართა. ის იყო ძალების პირველი შემოწმება ალმა-ათის წლევანდელი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის. თუ მაშინდელ და ახლანდელ შედეგებს შორის პარალელს გავავლებთ, დავინახავთ, რომ წლეულს შედეგები გაცილებით დაბალი იყო (ნუ დავივიწყებთ, რომ ალმა-ათაში საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები XII ადგილს დასჯერდა).

რაკი ეს მოკლე ექსკურსი გახდა საჭირო, ვიტყვით იმასაც, რომ 1972 წელს კიევში საერთო ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდის III ადგილზე გასვლა თითქმის მთლიანად ჭაბუკ მძლეოსანთა მაღალი მაჩვენებლების შედეგი იყო (გოგონებმა მაშინ X ადგილი დაიკავეს). წლეულს ალმა-ათაში საქართველოს ჭაბუკებმაც უკან დაიხიეს (VI ადგილი), გოგონები აშკარად ძალიან სუსტად გამოვიდნენ (XIII ადგილი) და საერთო ჩათვლაშიც ერთბაშად 9 ადგილით უკან გადაინაცვლეს.

დასკვნა ერთია: მოსწავლეთა შორის (განსაკუთრებით გოგონებში) მძლეოსნობა საგრძნობლად ჩამორჩა. ამაში, ბაზების სიმცირეზე რომ არაფერი ვთქვათ, ბრალი ისევ და ისევ მწვრთნელებს მიუძღვით, რომელთა უმეტესობაც ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარულს არჩევს. აბა რას უნდა მივაწეროთ, რომ მრავალჭიდელებში, თარჯიმობებლები, საშუალო მანძილებზე მორბენლები თბილისშიც კი აღარ გვყავს?

— რაში ხედავთ გამოსავალს? — ვკითხეთ შეჯიბრების შემდეგ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ჭაბუკ მძლეოსანთა მთავარ მწვრთნელს რ. ოდიშარიას.

— თბილისში, მაგალითად, მდგომარეობის გამოსწორების მთავარ პირობად მიმაჩნია სპეციალური ბაზის მოწყობა, რომელიც მხოლოდ მძლეოსნობაში მომეცადინე მოზარდების განკარგულებაში იქნება. თორემ აბა, რა სპორტსმენების მომზადება შეიძლება ლენინის სახელობის სტადიონისთანა ბაზაზე? სრული დატვირთვით აქ ვერც მოზარდი ფეხბურთელები ვარჯიშობენ, ვერც მძლეოსნები. ეს ბაზა მთლიანად ან მძლეოსნებს უნდა გადაეცეთ, ან ფეხბურთელებს. თუ შემდეგშიც ძველ პირობებში დავრჩით, თუ მძლეოსნობის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას სამუშაო პირობები არ გაუუმჯობესდა, შორს ვერ წავალთ. რაც შეეხება გოგონათა შორის მძლეოსნობის ჩამორჩენას,

ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებლად მიმაჩნია თბილისში მაინც გავხსნათ სპეციალური სპორტსკოლა, სადაც ქალთა ყველა სახეობა მასობრივად დაინერგება.

მთავარ მწვრთნელს მართლაც აქვს შეშფოთების მიზეზი, ვინაიდან საანგარიშო შეჯიბრების ტექნიკურმა შედეგებმაც საიმედო ბევრი ვერაფერი გვიჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენები ჩათვლას III თანრიგის ნორმატივის ზღვრებისთვისაც იღებდნენ, მეორე ჯგუფში შემავალი ზოგიერთი რაიონის (ზუგდიდის, ხაშურის, საგარეჯოს, ლენტეხის, ქარელისა და აბაშის) კოლექტივები საერთოდ შეუფასებელი დარჩნენ. ამ ჯგუფის კოლექტივების ამოცანა კი ერთობ ითლი იყო: რაიონში 8-8 მძლეოსანი მოენახათ. ამ ჯგუფში სასპარეზოდ გორმა, წალკისა და თნის რაიონებმა საერთოდ არ ჩამოიყვანეს გუნდები. საინტერესოა, რით იმართლებენ თავს დასახელებულ ქალაქსა და რაიონებში მომუშავე მწვრთნელები?

რაკი სიტყვა მეორე ჯგუფის კოლექტივებზე (სულ 17 გუნდი ასპარეზობდა) ჩამოვარდა, ბარემ ვიტყვით, რომ გუნდურ ჩათვლაში ფოთელებმა 6400 ქულა მოაგროვეს და პირველობა დაისაკუთრეს. II ადგილზეა ახმეტის გუნდი — 6047 ქულა, III — რუსთაველთა კოლექტივი — 2282.

I ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: თბილისის ნაკრები — 12465 ქულა, თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი — 9401, მახარაძე — 9282, აჭარა — 8927, აფხაზეთი — 7161, სამხრეთ ოსეთი — 1581, ქუთაისი — 1031.

როგორც ხედავთ, სამხრეთ ოსეთი და ქუთაისი ძალიან ჩამორჩნენ. ქუთაისსა, მაგალითად, მეორე ჯგუფის სამი პრიზიორის გარდა, აჯობეს ახალციხის (1993), დუშეთისა (1583) და ბორჯომის (1504) რაიონების პატარა კოლექტივებმაც.

პირად შეჯიბრებაში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინეს თბილისელმა გ. სავენკომ, რომელიც 194 სმ სიმაღლეზე გადახტა და I თანრიგის ნორმატივი შეასრულა და მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის სკოლის მოსწავლემ თ. ნაცვალაძემ (მწვრთნელი გ. ერქომაიშვილი), რომელმაც ექვსკილოგრამიანი ბირთვის ტყორცნაში მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა — 15,42 მ.

საიმედო შედეგები აჩვენეს, აგრეთვე, ინტერნატელებმა ც. ბურკიშვილმა (შუბის ტყორცნაში — 62,46 მ), ლ. ფარცვანიამ (110 მეტრზე თარჯრბენში — 15,7), გოგონებიდან — თბილისელმა ბადროს მტყორცნელმა თ. წოწკოლაურმა (38,78 მ), სოხუმელმა შუბის მტყორცნელმა ხ. გუნბამ (40,02) და ზოგიერთმა სხვამ.

ო. გელაშვილი.

* * *

გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს:

**გოგონები. რბენა. 100 მ.** ხ. ძნელაძე (აჭარა) — 13,1; **200 მ.** ლ. სლობოდიანიუკი (რუსთავი) — 27,9; **400 მ.** ა. კუროვსკაია (თბილისი) — 1.01,5; **800 მ.** ლ. პილშჩიკი (ახალციხე) — 2.28,6. **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 51,9. **100 მეტრზე თარჯრბენი.** ო. გოლუბოვა — 16,4. **სიგრძეზე ხტომა.** გ. ქორიფაშვილი — 492. **სიმაღლეზე ხტომა.** გ. იაცენკო (ყველა — თბილისი) — 155. **ბირთვის კვრა.** დ. ჭინჭარაული (დუშეთი) — 9,98. **ხუთჭიდი.** ი. ამოსოვა (თბილისი) — 3029 ქულა.

**ჭაბუკები. რბენა. 100 მ.** ნ. ოოსელიანი — 11,7; **200 მ.** შ. კუნჭულია (ორივე — აჭარა) — 24,2; **400 მ.** ვ. ომელჩენკო (თბილისი) — 56,1; **800 მ.** გ. აჯთიანი (ახალციხე) — 2.11,6; **1500 მ.** ვ. სინიცინი (თბილისი) — 4.33,7; **2000 მ.** გ. გვარამაძე (ახალციხე) — 6.21,2. **ესტაფეტა 4×100 მ.** აჭარა — 46,3. **400 მეტრზე თარჯრბენი.** ვ. ტატოვი (აფხაზეთი) — 1.02,6. **5 კმ-ზე სპორტული სიარული.** ბ. ტაგიევი (რუსთავი) — 26.28,3. **სიგრძეზე ხტომა.** ა. ნერსესიანი (თბილისი) — 622. **სამხტომი.** ვ. მითაგვარია (რუსთავი) — 12,92. **ჭოკით ხტომა.** ს. ვეტიევი (თბილისი) — 360. **ბადროს ტყორცნა.** გ. ჯაჭვაძე (ინტერნატი) — 41,10. **უროს ტყორცნა.** ი. მელიქიძე (თბილისი) — 43,80. **რვაჭიდი.** ზ. ზურაბაშვილი (ახმეტა, თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 4727 ქულა.

* * *



სურათებზე: თ. ნაცვალაძე ბირთვის კვრის დროს; 100 მეტრზე მორბენალი გოგონების სტარტი.

ავტორის ფოტოები.

# დავეხმაროთ ყაზბეგელ ფიზკულტურელებს

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ყაზბეგში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის პირველ ყოვლისა „კოლმეურნის" რაისაბჭო უნდა იბრძოდეს. მაგრამ აი, რა გვითხრა ამ ზაფხულში ყაზბეგის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ლუდუშაურმა:

— „კოლმეურნის" რაისაბჭო ფორმალურად არსებობს. მან ვერა და ვერ ჩააბა მშრომელები მასობრივად ფიზკულტურასა და სპორტში. რის სპორტი, რა ფიზკულტურა, ხტუნვა-თამაშისთვის სად გვცალია, საქმესაც ძლივს ავუდივართო, — ამბობენ ყაზბეგელები.

ჩვენი აზრით, თავმჯდომარე სულ სხვა სიტყვებს გვეტყოდა, რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა სათანადო დონეზე რომ იდგეს.

— პროპაგანდას ვინ დაეძებს, ყაზბეგში შეჯიბრების ოქმების შევსებაც კი არ იციან, — გვითხრა მოთხილამურეთა და მთამსვლელთა სახელმწიფო მწვრთნელმა ზ. კუტალაძემ, რომელიც ამას წინათ სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორ დ. ობოლაძესთან და „სპარტაკის" ინსტრუქტორ გ. მაისურაძესთან ერთად იყო იქ. ეს სამეული საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ რესპუბლიკის მთიანი რაიონების ფიზკულტურული კოლექტივებისთვის პრაქტიკული დახმარების მიზნით გამოყოფილ ერთ-ერთ ბრიგადას შეადგენდა.

— ყაზბეგში ფიზკულტურისა და სპორტის სავალალო მდგომარეობაზე დიდხანს შეიძლება საუბარი. მართალია, ჩვენ გვესმის ყაზბეგელთა გასაჭირი — სპორტული ბაზებისა და სპეციალისტთა ნაკლებობა, რასაც მკაცრი ბუნებრივი პირობებიც ემატება, მაგრამ, ნათქვამია, თუ გული გულობსო... ყაზბეგში ნაკლოვანებათა გამოსაჩხრეკად სულაც არ წავსულვართ. თქვენ უკვე იცით ჩვენი იქ ჩასვლის მიზანი და მოდით, მასზე ვისაუბროთ, — გვითხრა სახელმწიფო მწვრთნელმა. გთავაზობთ მის ნაამბობს:

— ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ყაზბეგში ბუნებრივი პირობების მიხედვით ყველაზე დიდი წარმატებით სათხილამურო სპორტი და მთამსვლელობა შეიძლება განვითარდეს. ამ უკანასკნელ სახეობაში ჩამორჩენას ყაზბეგელები თოკების უქონლობას აბრალებდნენ. ამ ზაფხულში ჩვენ მივეცით მათ თოკები. საქართველოს ალპიური კლუბისგან ახლაც მიიღეს უსასყიდლოდ 6 კილოგრამი თოკი, 6 წყვილი თბილი სპორტული კოსტიუმი და სხვა ინვენტარი. ობოლაძემ მასპინძლებს ლექცია და კონსულტაცია ჩაუტარა ალპინიზმის შესახებ და თან მოხევე მთამსვლელთა ლამის მივიწყებული ტრადიციები „გაახსენა".

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ყაზბეგელებს სალათას ძილისგან გამოსვლა დაეტყოთ. ეს, უდავოდ, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის დიდი ტრფიალის, ტურიზმში სპორტის ოსტატ ელგუჯა კაკაბაძის დამსახურება გახლავთ. იგი ხომ ყაზბეგის პარტიის რაიკომის პირველი მდივანია. მოხევეები დახმარებას მოითხოვენ, რათა ხდის ხეობაში და მყინვარწვერის მისადგომებთან, მეტეოსადგურთან, ალპინისტური ბანაკი მოეწყოს. ამ საქმის მოგვარება მოთხილამურეებსაც დიდ დახმარებას გაუწევს.

ზამთრის სახეობებიდან გადაწყვეტილი აქვთ მოკლეს დანერგვაც. ტურბაზასთან ამ მიზნით მოედანიც კი გააკეთეს. ცხადია, ჰოკეისტთა აღჭურვილობაც სჭირდებათ, მაგრამ, რა გამოვა აქედან, არ ვიცი, რადგან ჯერჯერობით არსებული სპორტული ბაზებისთვისაც ვერ მოუვლიათ. ვერა და ვერ შეაკეთეს თავიანთი ვაისაცურაო აუზი, მოუწყობელია მძლეოსნური სარბენი ბილიკები ფეხბურთის მინდორთან. არც კალათბურთის მოედანია უკეთეს დღეში. ისე, თუ სპორტის ახალი სახეობის დანერგვაა საჭირო, ჩემი აზრით, ყაზბეგელები უფრო მეტ წარმატებას მშვილდოსნობაში მიაღწევენ. ისინი ამ სახეობასაც ფრიად მოუხიბლავს და, ცხადია, მომავალი „რობინ ჰუდებისთვისაც" გვთხოვენ საჭირო ინვენტარს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყაზბეგში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა საგზატკეცილო ველოსპორტია. ძალიან პოპულარულია უდროოდ დაღუპული სპორტის ოსტატის, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ველომრბოლელის თამაზ გელაძის ხსოვნის თასის გათამაშება. მართალია, რესპუბლიკის მასშტაბით ყაზბეგელი ველოსიპედისტები ჯერჯერობით არავითარ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ნორჩებმა შესაძლოა მომავალში თბილისში განაგრძონ დაოსტატება. ასეთი გზა ბევრმა ყაზბეგელმა გაიარა. საკმარისია დავასახელოთ სპორტის ოსტატები დემურ კობაიძე, შაქრო ჩქარეული და ვალერიან ალიბეგაშვილი. სხვათა შორის, საქართველოს გზატკეცილზე ველომრბოლელთა უფროსი მწვრთნელიც ასევე ძველი ყაზბეგელი, სპორტის ოსტატი ოთარ სუჯაშვილი გახლავთ. სამწუხაროდ, ყაზბეგელებს ველოსიპედები აკლიათ. ყაზბეგის მაღაზიებში ველოსიპედი კი არა, ფეხბურთელთა ფორმაც არ მოიძებნება. რაიონის 6 გუნდი უფორმებოდაა. მართალია, ჩვენ მასპინძლებს გადავეცით „სპარტაკის" მიერ გამოყოფილი 10 ფეხბურთის ბურთი, ამდენივე სპორტული კოსტიუმი და მძლეოსანთა 10 წყვილი ფეხსაცმელი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს ზღვაში წვეთია.

ყაზბეგელ ფიზკულტურელებს სჭირდებათ თხილამურები, მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის იარაღები. ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს იმ ბაზებმა, ვისაც ყაზბეგის რაიონის მომარაგება აბარია.

ა. ბურახაშვილი.

# ისევ დაბალი შედეგები, ისევ გამოუცხადებლობა

ცხინვალში დამთავრდა სამხრეთ ოსეთის VI სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 9 სახეობა იყო. სამ სახეობაში ასპარეზობის შედეგები უკვე გაგაცანით. ვწერდით იმასაც, რომ რაიონებმა ზოგიერთ სახეობაში გუნდები არ გამოიყვანეს. ეს დაუდევრობა შემდეგაც გაგრძელდა.

ფრენბურთელთა ტურნირში მასპინძლებმა ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს მეტოქენი და ქალებმაც და ვაჟებმაც I ადგილები დაიკავეს. ვაჟთა კოლექტივებში II ადგილზე გავიდნენ ცხინვალის, III — ჯავის რაიონების გუნდები. ქალთა ტურნირში II ადგილი წილად ხვდათ ჯაველ ფრენბურთელებს, III — ცხინვალის რაიონის წარმომადგენლებს. ლენინგორის რაიონმა შეჯიბრებას თავი აარიდა.

თავისუფალ ჭიდაობაში 32 სპორტსმენი ასპარეზობდა. ზნაურის რაიონმა გუნდი არ გამოიყვანა. არადა, ზნაურელებს კარგი მოჭიდავეები ჰყავთ და საოლქო თუ რესპუბლიკურ ტურნირებშიც მუდამ წარმატებით გამოდიან.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ქ. ცხინვალი — 86 ქულა, ცხინვალის რაიონი — 72, ლენინგორის რაიონი — 50.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ლ. თიგიევი, მ. თიბილოვი, მ. ჯაბიევი, რ. ბეკოევი, გ. ჯიოევი, ა. ურთმ... (ყველა — ცხინვალი), ნ. მარგიევი, რ. ვალიევი, ს. ბესთაევი (ყველა — ცხინვალის რაიონი).

ტყვიის მსროლელები დოსააფის ტირში ასპარეზობდნენ. ჩათვლაში III თანრიგის შედეგები შედიოდა. წარმატებას მხოლოდ მასპინძლებმა მიაღწიეს. რაიონების სპორტსმენები სუსტად გამოვიდნენ. 20 მონაწილიდან III თანრიგის ნორმატივი მხოლოდ ორმა კაცმა შეასრულა. პირად პირველობაში პისტოლეტის სროლაში გაიმარჯვა ცხინვალელმა ვ. ბაქრაძემ, მისი თანაგუნდელი რ. ხოდოვი უძლიერესი აღმოჩნდა მცირეკალიბრიანი შაშხანით შეჯიბრებაში.

ხელბურთელთა ტურნირში ქალთა და ვაჟთა მხოლოდ ორ-ორი გუნდი მონაწილეობდა. ესენი იყვნენ მასპინძლები და ცხინვალის რაიონის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ქალაქის საჭადრაკო კლუბში ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად თოხი გუნდი იბრძოდა. ლენინგორის რაიონმა არც ამ სახეობაში გამოიყვანა მონაწილენი, ხოლო ცხინვალის რაიონიდან მხოლოდ ერთი კაცი ჩაება ბრძოლაში. თითოეულ გუნდში ერთი ქალი და სამი ვაჟი გამოდიოდა, მაგრამ ქალები მხოლოდ მასპინძლებსა და ჯაველებს ჰყავდათ. 10,5 ქულით I ადგილი დაიკავა ჯავის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ე. კულუხოვა, ჯ. ჯიოევი, ვ. ცხოვრებოვი და გ. ხოსროშვილი. II ადგილი დაიკავა ცხინვალის კოლექტივმა — 8,5 ქულა, III — ზნაურის გუნდმა — 5 ქულა. ცხინვალის რაიონის გუნდს ნახევარი ქულაც კი არ მოუპოვებია. შეჯიბრების ცუდმა ორგანიზაციამ, მონაწილეთა გამოუცხადებლობამ ტურნირს ლაზათი და ინტერესი დაუკარგა.

სამბისტთა შეჯიბრება ლენინგორში ჩატარდა. ზნაურელი და ჯაველი ფალავნები ვერც აქ ვიხილეთ. ორდღიანმა ასპარეზობამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ცხინვალის რაიონის წარმომადგენლები. II ადგილზეა ცხინვალის კოლექტივი, III — ლენინგორის გუნდი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს: რ. ნებიერიძემ (ცხინვალის რაიონი), ბ. რთმელაშვილმა, ნ. მიდოდაშვილმა (ორივე — ცხინვალი), რ. კაბულოვმა (ცხინვალის რაიონი), თ. ტურიევმა (ცხინვალი), მ. ქისიშვილმა (ცხინვალის რაიონი), დ. გაზაშვილმა (ცხინვალი), კ. ბაგაევმა, მ. თუაევმა (ორივე — ცხინვალის რაიონი) და გ. არაბულმა (ცხინვალი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში სამხრეთ ოსეთის VI სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა ცხინვალის გუნდმა. II ადგილი დაიკავა ცხინვალის რაიონმა, III — ჯავის ნაკრებმა.

როგორც საოლქო სპარტაკიადამ დაგვანახვა, მონაწილეთა ტექნიკური შედეგები მეტად დაბალია. შეჯიბრებებში მეტწილად მოსწავლეებით დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ. არ იგრძნობოდა მასობრიობა, მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობაში მხოლოდ ერთი ან ორი სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე.

სამხრეთ ოსეთის სპორტის მესვეურებმა საოლქო სპარტაკიადის შედეგები სათანადოდ უნდა გააანალიზონ და აქედანვე შეუდგნენ საქართველოს VI სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდების მომზადებას.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).
ცხინვალი.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი



# „გრძელი სკამი" და ფსიქოლოგიური ფაქტორი

თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 19 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — ცსკა 88:97 (36:45).

„დინამო": ჩიხლაძე (გუნდს შესძინა 22 ქულა), მ. კორქია (16), ძიძიგური (13), ბიჭიაშვილი (12), პოლივსკი (6), ქარაბაკი (6), საკანდელიძე (4), ნ. კორქია (2), ჯგერენაია (2), ჩხიკვაძე.

ცსკა: ს. ბელოვი (34), დიაჩენკო (14), სალნიკოვი (12), მილოსერდოვი (9), ედეშკო (8), კოვირკინი (6), ჟარმუხამედოვი (6), ვ. კოვალენკო (5), პეტრაკოვი (3).

მსაჯები: ლ. არსლანოვი (ყაზანი), პ. ბუივიდასი (კლაიპედა).

დუბლიორები—46:99 (27:50).

ცსკა-მ განმეორებით შეხვედრაში დამაჯერებელი რევანში აიღო, თუმცა 13-ქულიან სხვაობას მაშინ მიაღწია, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და თბილისელებმა ფაქტიურად ბრძოლა შეწყვიტეს. მანამდე კი ჩემპიონის პრესტიჟი რამდენიმეჯერ სასწორზე იდო.

ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს „დინამომ" წარმატებით დაასრულა 18-წუთიანი დევნა და სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანა (36:37). საჭირო იყო კიდევ პატარა გაბრძოლება, ერთი გადამწყვეტი დარტყმა, მაგრამ მასპინძლებს ნერვებმა უმტყუნეს. შესვენებამდე დარჩენილ წუთ-ნახევარში ცსკა-მ ოთხჯერ ზუსტად ტყორცნა და მეორე ტაიმისთვის სამზადისს 9-ქულიანი მარაგით შეუდგა.

9 ქულა ასეთ პრინციპულ მატჩში საკმაოდ დიდი ფორაა, მაგრამ თბილისელებმა ამ უპირატესობის გაქარწყლებაც შეძლეს. ეს მოხდა 29-ე წუთზე: ჯგერენაიას ზუსტი სროლის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 63:63. ჩემპიონის წარმატება, მის მიერ გაწეული შრომა ისევ სათუო აღმოჩნდა. მაგრამ არმიელებმა ერთხელ კიდევ შეძლეს ძალების მოკრება და მეტოქეს მიაყენეს „გადამწყვეტი დარტყმა", რომლის ექომაც უკვე საბოლოოდ გაარკვია ბრძოლის ბედი.

ამ მატჩში არმიელთა ლიდერმა ს. ბელოვმა 34 ქულა მოუტანა თავის კოლექტივს. ბელოვი გუნდის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო და, ცხადია, მისი როლი გუშინწინდელ წარმატებაში განუზომელია. მით უფრო გაუგებარია „დინამოს" მცველთა უყურადღებობა ამ შესანიშნავი კალათბურთელის მიმართ. ბელოვი გადამწყვეტ მომენტში, სროლის წინ, მუდამ თავისუფალი იყო და არც ერთ თბილისელს არ უცდია ხელი შეეშალა მისთვის. ჩვენ გვესმის, რომ არმიელთა ლიდერის სრული ნეიტრალიზება ერთობ ძნელი საქმეა, თითქმის შეუძლებელიცაა, მაგრამ ბელოვზე „ნადირობა" ერთიორად რთულია; თუ მას შეძლებისდაგვარად არ შეეცვეტა სამოქმედო ასპარეზი.

და მაინც, ცსკა-ს წარმატება ორმა არსებითმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი პირობა სრულფასოვანი რეზერვის არსებობაში უნდა ვეძებოთ. ცსკა-ს „გრძელი სკამი" მწვრთნელს საშუალებას აძლევს თამამად შეცვალოს ერთი მოთამაშე მეორე, არანაკლებ სრულფასოვანი კალათბურთელით. თბილისის „დინამოს" კი ამის შესაძლებლობა არა აქვს. გაიხსენეთ თუნდაც ის კრიტიკული მომენტი, როცა 5 პერსონალური შეცდომის გამო მოედნიდან გასვლა მოუხდა ძიძიგურს. „დინამოსთვის" ეს ფაქტიურად დასასრულის დასაწყისი იყო.

მეორე პირობა თბილისის კალათბურთელთა მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყო. „დინამომ" წინა დღეს უაღრესად მძიმე ბრძოლაში სძლია მეტოქეს. მან ამ გამარჯვებით ფაქტიურად ვალმოხდილად ჩათვალა თავი გულშემატკივრების წინაშე. ხოლო, როცა მეორე მატჩშიც გაჩნდა წარმატების შანსი, გუნდს, უბრალოდ, ნერვები აღარ ეყო.

საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური პრობლემის გადაჭრა მოუხდა ჩემპიონს. პირველი მარცხის შემდეგ მას უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, ვინაიდან ყველასთვის ცხადი იყო, რომ ჩემპიონატის სტარტზე დაკარგული 3 ქულით ოქროს მედლებზე ფიქრი ძალიან გაძნელდებოდა. ცსკა, რომ იტყვიან „ვა-ბანკზე" წავიდა, ოღონდ საამისოდ მას ძალაც ეყო და ნერვული ენერგიის მარაგიც.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან აღებული ქულა „დინამოს" ახალი ბიოგრაფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია. ჩემპიონატი ჯერ-ეხ არის დაიწყო. წინაა უმძიმესი მატჩები და „დინამოს" ხვალინდელი დღის გენერალური გამოცდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი გულშემატკივრების საყვარელი გუნდი კიდევ არა ერთსა და ორ ლამაზ გამარჯვებას მოიპოვებს.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *



სურათზე: ბურთი აქვს ი. ძიძიგურს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ახალი სეზონი — ახალი საზრუნავი

ახალი სეზონი საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალებს ერთობ გადატვირთული ექნებათ. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ტრადიციულად იასპარეზებს რიგის ტტტ, ხოლო თასების მფლობელთა თასს კონტინენტის უძლიერეს საკლუბო გუნდებს შეეცილება ლენინგრადის „სპარტაკი". ჯერჯერობით ორივე ეს პრიზი საბჭოთა კავშირის ქალაქებში ინახება: პირველი — რიგაში, მეორე — ნევის ნაპირებზე.

აგვისტოში გაიმართება ევროპის ორი ტურნირი: 2-10 აგვისტოს ესპანეთის რომელიმე ქალაქი უმასპინძლებს გოგონათა ჩემპიონატს, ხოლო ახალგაზრდა კალათბურთელთა ტურნირი — „მეგობრობა" 17-26 აგვისტოს რუმინეთში ჩატარდება.

5-22 სექტემბერს შორეულ კოლუმბიაში ეწყობა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში პირველ სამ ადგილზე გასულები მიიღებენ მონრეალის ოლიმპიური თამაშების საგზურებს (დანარჩენ მონაწილეებს შესარჩევი ტურნირები გამოავლენს).

მაგრამ ახალ სეზონში საბჭოთა გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში მაინც სსრ კავშირის ჩემპიონატი იქნება. მისი პირველი ეტაპები უკვე დაიწყო.

გუშინწინ ბაქოში გაიმართა ჩემპიონატის პირველი მატჩები შემდეგი ექვსი გუნდისთვის: „სპარტაკი" (ლენინგრადი), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი), „დინამო" (კიევი), „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) და ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბი (ფისკ).

გუშინ კი ასპარეზობაში ჩაებნენ ვილნიუსის ტურის მონაწილეები: ტტტ (რიგა), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „დინამო" (მოსკოვი), „კიბირკშტისი" (ვილნიუსი), „სტროიტელი" (ფრუნზე) და „სტალი" (დნეპროპეტროვსკი).

პირველი წრის დარჩენილ მატჩებს ჩემპიონატის თორმეტივე მონაწილე ფრუნზეში დაამთავრებს დეკემბერში. ასეთივე პრინციპით ჩატარდება მეორე და მესამე წრეების მატჩები. სსრ კავშირის ახალი ჩემპიონის ვინაობას გავიგებთ გაისად, აპრილის დამლევს.

ახლა კი გთავაზობთ ბაქოს ტურის პირველი მატჩების შედეგებს: „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) — „დინამო" (კიევი) 66:58 (34:30), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 73:61 (40:31), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ფისკ (ტაშკენტი) 65:61 (35:25).





გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 6:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მაჩაბლიშვილმა (2), ხაჩატურიანმა, სანაძემ, წიკლაურმა და ხიდაშელმა, ხოლო ხობელთა მხრივ — თოდუამ და ჯოჯუამ.

გაფრთხილებულია ხობელი რ. ბუბუტეიშვილი.

## ვეტერანის სახელობის პრიზისთვის

გაიმართა სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრები.

მახარაძის „მერცხალმა" წააგო ორი მატჩი: სამტრედიის „ლოკომოტივთან" (0:1) და ფოთის „კოლხეთთან" (0:3). ზუგდიდის დინამოელები თავიანთ მინდორზე დამარცხდნენ ლანჩხუთის „გურიასთან" — 2:8.

ლანჩხუთის „გურიამ" და სამტრედიის „ლოკომოტივმა" დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 6-6. პრიზის მფლობელის გამოსავლენად ამ გუნდებს შორის გუშინ ბათუმში შედგა დამატებითი შეხვედრა.

## საქართველოს ჩემპიონატი

● „ქართლი" (გორის რაიონი) — ასკ (თბილისი) 2:4. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „განთიადი" (თბილისი) 2:1. მსაჯი ი. კუხიდი (ბათუმი).

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი ს. იაკუბოვი და ზესტაფონელი თ. მანჩხაშვილი.

● „ვარძია" (ასპინძა) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:4. მსაჯი დ. გრიგოლაშვილი (თბილისი).

ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა ასპინძელმა ფოცხვერაშვილმა, შემდეგ კი ჯამშა მეორე ბურთი შეაგდო სტუმრების კარში. „ვარძია" თითქოს ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ შემდეგ ინიციატივას მთლიანად გორელები დაეუფლნენ, რომლებმაც შეძლეს კიდეც გამარჯვება. ბურთები გაიტანეს რუხაძიშვილმა (2), ვლაშჩენკომ და ქარდიკაშვილმა.

● ასკ (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:5. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

არმიელები პირველ ტაიმს იგებდნენ ანგარიშით 3:0, მაგრამ შესვენების შემდეგ მთლიანად დათმეს ინიციატივა და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

გვერდითა მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია გეგეჭკორელი თ. ბაკურია, ხოლო უხეში თამაშისთვის — ოჩამჩირელი თ. ჩხვირკია (ეს უკანასკნელი მეორედაა გაფრთხილებული წლეულს).

● „ივერია" (ხაშური) — „მადნეული" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ანგარიში გახსნა ხაშურელმა ბედოევმა, ხოლო „მადნეულის" თავდამსხმელმა მაღრაძემ გაქვითა გოლი.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:1. მსაჯი ზ. ძნელაძე (თბილისი).

თავი გამოიჩინა ქობულეთელმა მელნიკოვმა, რომელსაც ეკუთვნის სამივე გოლი. საპასუხო ბურთი გაიტანა თოდრიძემ.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 5:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს წიკლაურმა (2), მახარაძემ, სანაძემ და მაჩაბლიშვილმა.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი ნ. ზავიშვილი (ბათუმი).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 33 | 21 | 9 | 3 | 62—22 | 51 |
| „მადნეული" | 35 | 22 | 5 | 8 | 64—22 | 49 |
| „სალხინო" | 36 | 16 | 13 | 7 | 52—32 | 45 |
| „ეგრისი" | 35 | 18 | 8 | 9 | 60—36 | 44 |
| ასკ | 37 | 17 | 10 | 10 | 74—50 | 44 |
| „დინამო" | 34 | 17 | 9 | 8 | 65—36 | 43 |
| „ლოკომოტ." | 36 | 16 | 11 | 9 | 61—43 | 43 |
| ფიზკ. ინსტ. | 35 | 17 | 7 | 11 | 66—55 | 41 |
| „შუქურა" | 35 | 14 | 10 | 11 | 48—36 | 38 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 35 | 12 | 12 | 11 | 50—46 | 36 |
| „ამირანი" | 35 | 14 | 8 | 13 | 49—45 | 36 |
| „კახეთი" | 36 | 13 | 8 | 15 | 48—56 | 34 |
| „მეშახტე" | 35 | 13 | 7 | 15 | 46—60 | 33 |
| „ქართლი" | 35 | 13 | 6 | 16 | 61—65 | 32 |
| „კოლხეთი" | 37 | 10 | 10 | 17 | 46—65 | 30 |
| „ვარძია" | 35 | 11 | 4 | 20 | 37—57 | 26 |
| „ივერია" | 34 | 9 | 6 | 19 | 33—62 | 24 |
| „განთიადი" | 35 | 7 | 9 | 19 | 41—64 | 23 |
| „სულორი" | 38 | 6 | 7 | 25 | 33—88 | 19 |
| „სპარტაკი" | 35 | 5 | 5 | 25 | 33—89 | 15 |

### ზონალური შეჯიბრება

„არაგვი" (მცხეთა) — „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) 2:2, „მშენებელი" (ბათუმი) — „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) 5:0.

## ღიმილ-ნაკვესები

### „შეჯიბრება მთავარი მსაჯის გარეშე"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 5 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისთვის გაკრიტიკებული იყო თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მშვილდოსანთა შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ო. ჭიჭინაძე. თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე შ. ქველიაშვილი გვატყობინებს: კომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა „ლელოში" გამოქვეყნებულ სიგნალზე და წერილში მოყვანილი ფაქტები სწორად ცნო. კოლეგიამ შეჯიბრების მთავარი მსაჯის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის მოქმედება დანაშაულად მიიჩნია, რის გამოც საქართველოს სპორტკომიტეტს მიმართა წინადადებით, რომ ო. ჭიჭინაძეს მოეხსნას რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება. ამასთან, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა მსაჯის უპასუხისმგებლობისა და კომიტეტის დადგენილების შესახებ აცნობა დაწესებულებას, სადაც ო. ჭიჭინაძე მსახურობს.

## გუშინ

„დინამო" დღემდე საწვრთნელ ბაზაზე გამართა ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა: „დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — 4:2. თბილისელებმა ბურთები ... გაიტანეს.

# წარმატებების გზით

უიმბლდონის წლევანდელი შეჯიბრების ფინალი. მსოფლიო ჩოგბურთის დედაქალაქის მწვანე ბალახის კორტზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი ოლგა მოროზოვა და ამერიკელი კრის ევერტი. და, თუმცა გამარჯვება ევერტს დარჩა, საბჭოთა სპორტსმენის გასვლა მსოფლიოს არაოფიციალური პირველობის ფინალში სპეციალისტებმა ტურნირის მთავარ სენსაციად მიიჩნიეს.



ჩოგბურთში პირველი ნაბიჯები მოროზოვამ 1959 წელს გადადგა, როცა მოსკოვის „დინამოს" სტადიონის კორტებს მიაკითხა. იგი მაშინვე მოეწონათ მწვრთნელებს. გასაოცარი იყო მისი არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა, რეაქცია, შეუპოვრობა. ექვსი წლის შემდეგ მოროზოვამ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა გოგონათა შორის. პირველ დიდ წარმატებას საერთაშორისო სარბიელზე მან 1968 წელს მიაღწია, როცა ა. მეტრეველთან ერთად უიმბლდონის ასპარეზობის ფინალში გავიდა.

ეს წელი, შეიძლება ითქვას, ყველაზე სასიხარულო იყო მოროზოვასთვის. უიმბლდონის ტურნირის ფინალში გასვლა! ეს ხომ ყველა ჩოგბურთელის ოცნებაა. შესარჩევ შეჯიბრებაში ოლგამ დაამარცხა ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან ბ.-ჯ. მოფიტ-კინგი და ვ. უეიდი.

ოლგა მოროზოვა 25 წლისაა. იგი შეუპოვრად ვარჯიშობს, ახალი შეჯიბრებებისთვის ემზადება. ვინ იცის, იქნებ უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულთა სიაში მისი გვარიც ვიხილოთ.

• • •

სურათზე: ო. მოროზოვა.

ა. იაკოვლევის ფოტო (საქდესი).

## ჩვენი ქვეყნის სპარტაკიადა

### ახალი ყინულის სასახლე

ყაზახეთის მეტალურგთა და ქიმიკოსთა ახალგაზრდა ქალაქ თემირთაუში მწყობრში ჩადგა ახალი სპორტის სასახლე „სტროიტელი". აქ ზამთარ-ზაფხულ შეიძლება ჩატარდეს მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. სპეციალური გამყინავი დანადგარები საშუალებას იძლევა დიდ დარბაზში სულ მოკლე ხანში შეიქმნას ხელოვნური ყინულის საფარი.

ეს ყარაგანდის სარბიელის შემდეგ მეორე ყინულის სასახლეა ოლქში. იგი პირველად თემირთაუს და ყარაგანდის „სტროიტელის" ჰოკეისტებმა მოსინჯეს, რომლებიც „ა" კლასის მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობენ. მასპინძლებს საშუალება მიეცათ მოაწყონ ფიგურისტთა შეჯიბრებები და განავითარონ სპორტის ეს პოპულარული სახეობა. ახალი სასახლის ყინულზე ოსტატობას სრულყოფენ ფიგურული ციგურაობის საოლქო სკოლის ფილიალის მოსწავლენი.

ვ. ალიავინი.

თემირთაუ.

## სპორტული მოკლე ინფორმაცია

## ფინალის ოქროს საგზური

### საუკეთესო მოთამაშედ ნუგზარ მშვენიერაძე აღიარეს

6 დეკემბერს ბელგრადში დაიწყება წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირი. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს ამ საპატიო პრიზის ამჟამინდელი მფლობელი — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი. ამერსფორტში (ჰოლანდია) გამართულ ნახევარფინალურ შეჯიბრებაში მოსკოველებს ხელი მოეცარათ — ფინალის საგზური ვერ მოიპოვეს.

ამერსფორტის ნახევარფინალში (15-17 ნოემბერი) გამართული მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის უნივერსიტეტი — „რუდა გვეზდა" (კოშიცე) 8:2, „დინამო" (ბუქარესტი) — „დენ რობენი" (ჰილვერსიუმი) 4:4, „დენ რობენი" — „რუდა გვეზდა" 4:3, მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო" 5:5, მოსკოვის უნივერსიტეტი — „დენ რობენი" 6:7, „დინამო" — „რუდა გვეზდა" 10:7.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს მოსკოველთა თავდამსხმელი ნ. მშვენიერაძე, რომელიც მეტოქეთა მეკარეების ნამდვილ რისხვად მოგვევლინა.

ამერსფორტის ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ „დენ რობენი" და ბუქარესტის „დინამო".

ფინალის დანარჩენი ორი საგზური ბუდაპეშტში გამართულმა ნახევარფინალურმა ტურნირმა გასცა. ეს საგზურები ბელგრადის „პარტიზანისა" და უნგრეთის ოშც-ს საკუთრება გახდა.

ბუდაპეშტის ნახევარფინალური ტურნირის ორი საუკეთესო გუნდის შეხვედრების შედეგები ასეთია: ოშც — „ვიურცბურგი" (გფრ) 7:2, ოშც — „პრო რეკო" (იტალია) 7:4, „პარტიზანი" — „პრო რეკო" 8:5, „პარტიზანი" — „ვიურცბურგი" 2:1, „პარტიზანი" — ოშც 7:6.

## ჩოგბურთის კორტებზე

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ტურნირმა, რომელმაც წარმატება ცნობილ ეგვიპტელ ჩოგბურთელს ისმაილ ელ შაფეის მოუტანა. გადამწყვეტ მატჩში მან ჰანს პომანს (გფრ) სძლია (7:6, 6:1), ნახევარფინალში კი სახელგანთქმული ავსტრალიელი ჯონ ნიუკომბი დაამარცხა — 6:4, 7:6.

ვაჟთა წყვილების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრალიელთა — როს კეისისა და სიდ ბოლის დუეტი და ინტერნაციონალური წყვილი: მაიკ ესტეპი (აშშ) — მარსელო ლარუ (მექსიკა) — 6:3, 7:6.

ლონდონში გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა ბევრი ცნობილი ჩოგბურთელი მიიზიდა. წარმატებით ითამაშა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ვირჯინია უეიდმა. ნახევარფინალში მან იოლად სძლია იუგოსლაველ მიმუ იაუშოვეცს (6:1, 6:3), გადამწყვეტ მატჩში კი ამერიკელი ჯული ჰელდმანი დაამარცხა — 7:6, 6:2. უეიდი საუკეთესო იყო ქალთა წყვილების თანრიგშიც, როცა ამერიკელ შერონ უოლშთან ერთად აჯობა მასპინძლებს ლესლი ჩარლზსა და სიუ მეპინს.

ვაჟთა ერთეულების ტურნირი მოიგო ამერიკელმა ჯიმ კონორსმა, რომელმაც ფინალში თანამემამულე ბრაიან გოტფრიდს აჯობა — 6:2, 7:6. III ადგილისთვის მატჩში ჰოლანდიელმა ტომი ოკერმა არგენტინელი გილერმო ვილასი დაამარცხა — 6:2, 6:4.

ნახევარფინალებში გოტფრიდმა ვილასს მოუგო (6:7, 6:2, 6:2), ხოლო კონორსმა იოლად სძლია ოკერს — 6:0, 6:2.

ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს კონორსმა და რუმინელმა ილიე ნასტასემ. ფინალურ მატჩში მათ დაამარცხეს გოტფრიდი და მექსიკელი რაულ რამირესი — 3:6, 7:6, 6:3.

ოსლოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში ჯეფ ბოროვიაკმა (აშშ) აჯობა ყველას: ფინალში მან კარლ მაილერს (გფრ) სძლია — 6:3, 6:2.




### ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

• •

## კარპოვი — კორჩნოი 3:2 (18 ყაიმი)

მოგვყავს XXIII პარტია.

**კორჩნოი — კარპოვი**

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. g3 კb7 5. კg2 კe7 6. მc3 მe4 7. კd2 კf6 8. 0—0 0—0 9. ლc2 მ:d2 10. ლ:d2 d6 11. ეad1 მd7 12. მe1 კ:g2 13. მ:g2 ლe7 14. მe1 c5 15. მc2 ეac8 16. b3 ეfd8 17. e4 მb8 18. ეfe1 cd 19. მ:d4 ლb7 20. ეe3 a6 21. ლe2 მc6 22. მ:c6 ლ:c6 23. ეed3 h6 24. a4 ლc5 25. ლd2 b5 26. ab კ:c3 27. ლ:c3 ab 28. ეd4 ლc7 29. ლb4 e5. ყაიმი.

### პარტია გადატანილია

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ა. კარპოვისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის დასკვნითი, XXIV პარტია, რომელიც 20 ნოემბერს უნდა შემდგარიყო, კორჩნოის ავადმყოფობის გამო გადატანილია. იგი 22 ნოემბერს გაიმართება.



### ტანვარჯიში

**ბარსელონაში** დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელშიც ევროპის ცხრა სახელმწიფოს ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ. ყველას აჯობა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ბოიკომ — 56 ქულა. II ადგილზე გავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი ლ. მაკი (55,50), ხოლო III — პოლონელი ნ. კუბიცა (55,20).

### ძალოსნობა

**სტოკჰოლმში** ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ფინეთის ძალოსანთა ნაკრები გუნდები. წარმატება სტუმართა მხარეს იყო: მათ 9 წონითი კატეგორიიდან შვიდში გაიმარჯვეს (არ გამართულა შეჯიბრება უმძიმეს წონაში). ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების რეკორდი დაამყარა ქვესაშუალო წონის წარმომადგენელმა ა. ალაპიონტიიომ, რომელმაც 180 კგ აჰკრა.




ძვირფასო მეგობრებო, სპორტის მოყვარულებო!

მოგაგონებთ, რომ გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლელოზე" 1975 წლისთვის.

ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასი: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ბრალი ედებათ

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საქდესი). „ნოთს ქაუნთისა" და „შეფილდ უენსდეის" მატჩის დროს ატეხილი ჩხუბისთვის ნოტინგემის სასამართლომ ფეხბურთის ცამეტ გულშემატკივარს დიდი ფულადი ჯარიმა მიუსაჯა.

— პოლიცია რომ არ ჩარეულიყო, ჩხუბი სისხლის ღვრაში გადაიზრდებოდა, — თქვა სასამართლოზე ბრალდების წარმომადგენელმა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სპორტის ბევრმა მოყვარულმა თავი დაანება სტადიონებზე სიარულს, ვინაიდან იქ „ხულიგნობის გამო აუტანელი ვითარება სუფევს".

აღვირახსნილი გულშემატკივრების სასამართლო პროცესები გაიმართა, აგრეთვე, ლონდონში, ბირმინგემში, ბრისტოლში და ქვეყნის ზოგიერთ სხვა ქალაქში. მხოლოდ ბოლო ტურის დღეს ფეხბურთის 120-ზე მეტ „თაყვანისმცემელს" ბრალი დაედო ჩხუბის, მატერიალური ზარალის მიყენებისა და სხვა ხულიგნური საქციელის გამო.

• •

### რაშიჩი გადადგა

იუგოსლაველი სპეციალისტი რაშიჩი, რომელიც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის დროს სათავეში ედგა ავსტრალიის ნაკრებს, გადადგა. მიზეზი გასაგებია: მიიჩნიეს, რომ ავსტრალიელებს უკეთესი შედეგები უნდა ჰქონოდათ.

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ინგლისელი უორთინგტონი, რომელიც მანამდე ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში" თამაშობდა.

• •

### ედსტრიომი პირველია

ჰოლანდიის „ფშვ ეინდჰოვენის" ფეხბურთელი, შვეციის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ედსტრიომი ჟურნალისტების სპეციალური გამოკითხვის შედეგად მიჩნეულია შვეციის უპირველეს ფეხბურთელად 1974 წლის სეზონში.

თუმცა ედსტრიომმა ბოლო ორი სეზონის მანძილზე, განსაკუთრებით კი მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში დიდი პოპულარობა მოიპოვა, მისი არჩევა ქვეყნის უპირველეს ფეხბურთელად მაინც რამდენადმე მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ ამ წოდებას არ ანიჭებენ ფეხბურთელებს, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან.

• •

### გადაიფიქრა...

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, გფრ-ის ნაკრების ვეტერანმა გრაბოვსკიმ გადაწყვიტა აღარ ეთამაშა ეროვნულ ნაკრებში, თუმცა მწვრთნელ ჰ. შიონის აზრით, იგი კვლავინდებურად ხაჭირო იყო გუნდისთვის.

გრაბოვსკიმაც გადაიფიქრა და გამოაცხადა, ისევ ვითამაშებ ნაკრებშიო.

• •

### რივა „კალიარიში" დარჩა

მსოფლიო ჩემპიონატში წარუმატებლად გამოსვლის მიუხედავად, რივა კვლავინდებურად ითვლება იტალიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თავდამსხმელად. „კალიარის" ფეხბურთელს არაერთი მიწვევა აქვს მიღებული სხვადასხვა კლუბიდან.

ყოველივე ამის მიუხედავად, ხმები რივას მიერ „კალიარის" დატოვების შესახებ არ გამართლდა. ამ კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ რივასთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04817